პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 217 (12425) | პარასკევი, 14 სექტემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე

ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45 წლისთავის ზეიმის მზადებაშია. საბჭოთა ხალხი ფეხაწყობით მიჰყვება თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენებ გზას და უმაგალითო შემოქმედებითი ენერგიით აშენებს ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. იგი თავისი მაგალითით აღაფრთოვანებს მშრომელ ადამიანებს დედამიწის ყველა კუთხეში მშვიდობისა და უეცილესი მომავლისათვის საბრძოლველად.

სწორი კომპასი საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ ამ დიდ ლაშქრობაში მისცა ლენინურმა პარტიამ თავის შესანიშნავ პროგრამაში. პარტიამ არა მარტო უჩვენა ხალხს სწორი გზა, არამედ გიგანტური საქმიანობა გაშალა მასების დასარაზმავად დასახული ამოცანების შესრულებისათვის, ორგანიზებული, გეგმაზომიერი, მეცნიერულად დასაბუთებული ხასიათი მიანიჭა კაცობრიობის ნამდვილი გაზაფხულის ჩვენი დღეების პრაქტიკულ საქმედ გადაქცევას.

თანამედროვე პერიოდში განუხრელად მაღლდება, სულ უფრო იზრდება პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში. ყოველი ახალი დღე მათ წინაშე სახავს სულ უფრო დიდ მასშტაბის ამოცანებს და ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პოლიტიკური და ორგანიზატორული ხელმძღვანელობის დონის სულ უფრო ხრულყოფას.

ახლა, როცა იქმნება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, როცა ქარხნებში თუ სამშენებლო მოედნებზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში, ჩვენს თვალწინ პატიოსან შრომაში ყალიბდება ახალი ადამიანი, განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნებია წაყენებული პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური ხაქმიანობისადმი. ჩვენს დროში იდეოლოგიური მუშაობა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამ მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, კომუნისტური შეგნებულობის ზრდას.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიური მუშაობის ცხოვრებასთან დაკავშირებას, მის კონკრეტულობასა და მიზანსწრაფულობას. ყოველივე ამან თავის კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია სამეურნეო და კულტურული საქმიანობის წარმატებებზე. ყოველწლიურად მატულობს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვება, აღმავლობის გზაზეა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ყველა რგოლისა და ფორმის მუშაობის ძირითად შინაარსს შეადგენდა სკკპ XXII ყრილობის მასალები და სხვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების შესწავლა. შარშან რესპუბლიკაში პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმული იყო 813.681 კაცი — 32 ათასით მეტი, ვიდრე წინა სასწავლო წელს. კომუნისტებთან ერთად მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სკკპ XXII ყრილობის მასალებს პოლიტიკური განათლების სისტემაში სწავლობდა 119.228 უპარტიო მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიული განათლება მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური განათლება გახდა.

ყრილობის მასალების შესწავლისას დიდი ყურადღება ექცეოდა კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიურ პრობლემებს, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. ფართოდ იყო გამოყენებული სწავლების ისეთი ფორმები, როგორიც არის თეორიული და ეკონომიური კონფერენციები. ამ მხრივ სასწავლო წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობის მაგალითები უჩვენეს დედაქალაქის, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავის, ბათუმის, მახარაძის, ზუგდიდის, თელავისა და გორის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამასთან ერთად შემაჯამებელმა მეცადინეობებმა ნაკლოვანებებიც გამოავლინა. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიული კომიტეტი გატაცებული იყო სწავლის საწრეო ფორმებით, ამ წრეებში რიცხავდნენ სწავლების უფრო მაღალი ფორმისათვის მომზადებულ ადამიანებს. ეს წარმოშობდა ფორმალიზმს პოლიტიკურ განათლებაში, ხელს უშლიდა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით შესწავლას. ზოგან კი უგულებელყოფილი იყო თეორიის ზოგიერთი საკითხების შესწავლა. მაგალითად, აბაშის, დმანისის, თერჯოლის, თიანეთის, ზნაურის, მესტიისა და ჯავის რაიონებში სასწავლო წლის მანძილზე ფილოსოფიის შემსწავლელი არც ერთი წრე და სემინარი არ შეუქმნიათ.

პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დროღა დარჩა. მართალია, გასული სასწავლო წლის შედეგები განხილულ იქნა პარტიული კომიტეტების ბიუროებსა და კომუნისტთა კრებებზე, აგრეთვე იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირებზე, დასახა სათანადო ღონისძიებებიც ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ საჭირო იქნება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებით გავამახვილოთ უურადღება იმ ნაკლოვანებებზე პოლიტიკური განათლების მოწყობაში, რომლებსაც შარშან ჰქონდა ადგილი, რათა აღარ დაუშვათ ისინი მომავალ სასწავლო წელს.

მომავალი სასწავლო წლისათვის გამოცემულია ახალი პროგრამები როგორც რუსულ, ისე მშობლიურ ენაზე; განზრახულია ცალკე ბროშურებად გამოიცეს „პროპაგანდისტისა და აგიტატორის ბიბლიოთეკა". მოეწყო პოლიტიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტთა დიფერენციირებული გადასამზადებელი კურსები, დედაქალაქში გაიმართა პროპაგანდისტთა მეთოდური კონფერენცია.

საჭიროა მომავალი სასწავლო წლისათვის კვლავაც გავაუმჯობესოთ მარქსისტულ-ლენინური განათლება, გავაფართოოთ პოლიტიკური განათლების სფერო და ავამაღლოთ მისი ქმედითობა. კომუნისტთა და უპარტიოთა უურადღება უნდა მივაპყროთ პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის შესწავლას. არ უნდა გაგვიტაცოს წრეების შექმნამ, ხელაღებით არ ჩავრიცხოთ წრეებსა და პოლიტსკოლებში კომუნისტები და უპარტიოები. მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ პოლიტიკური სწავლების დამოუკიდებელი და სემინარული ფორმები.

პარტიის საოლქო კომიტეტების, საწარმოო სამმართველოთა პარტორგების, პარტიის რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა სწორად და ორგანიზებულად მოაწყოს პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, მუდამ იყოს დაინტერესებულნი, თუ რა მდგომარეობაა იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბანზე, იბრძოლონ იმისათვის, რომ გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობის გავლენა საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმიანობაზე. წლიური გეგმებისა და წინასაოქტომბრო სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე, უმდიდრესი რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებაზე.

საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ არ არსებობს „წმინდა" ორგანიზატორული და „წმინდა" იდეოლოგიური საქმიანობა, არამედ ორივე უნდა იყოს მჭიდრო ერთიანობაში. ადამიანთა ორგანიზაცია და აღზრდა თეორიულად და პრაქტიკულად განუყრელია.

მეგვენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ფასადზეა მისასალმებელი ტრანსპარანტები რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე: „სალამი მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს!" 13 სექტემბერს აქ მსოფლიოს მევენახეებისა და მეღვინეების ფორუმმა დაიწყო მუშაობა.

რესპუბლიკის მევენახეები და მეღვინეობის მუშაკები, მთელი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელოდნენ კონგრესის გახსნას. მათი დიდი კმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრის ადგილად არჩეულია საბჭოთა საქართველო, რომელსაც აქვს სახელოვანი ტრადიციები მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში.

საზღვარგარეთის 20 ქვეყნის მეცნიერები და პრაქტიკოსები შეიკრიბნენ თბილისში, რათა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, აზრი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების პრობლემებზე, გაეცნონ სსრ კავშირის და, კერძოდ, საქართველოს მიღწევებს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში.

კონგრესს ესწრებიან ავსტრიის, არგენტინის, ბულგარეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, ისრაელის, იტალიის, კვიპროსის, მაროკოს, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ტუნისის, საფრანგეთის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უგოსლავიის, იაპონიის დელეგაციები. მრავალრიცხოვანი დელეგაციები წარმოადგენენ სსრ კავშირმა, აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკებმა — რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, უკრაინამ, მოლდავეთმა, საქართველომ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა, ყირგიზეთმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზშია იმ ქვეყნების სახელმწიფო ალმები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. დარბაზში ადგილები განაწილებულია ანბანური წესით. მაგიდაზე ყოველი დელეგაციის წინ ეროვნული ალმებია.

სხდომის დაწყების წინ კონგრესის ბევრი მონაწილე გაცხოველებით ესაუბრება ერთმანეთს, უზიარებს აზრს. მრავალი საზღვარგარეთელი სპეციალისტი გარს შემოხვეულია საბჭოთა დელეგაციის წევრებს — ცნობილ მეცნიერებს, მეღვინეობის მუშაკებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელგანთქმულ ნოვატორებს.

კონგრესს ესწრება ბევრი სტუმარი — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, კულტურის მოღვაწეები, მევენახეები და მეღვინეები.

ლოჟებში არიან საქართველოს სსრ მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

...ჩამოვარდა საზეიმო სიჩუმე. მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს დირექტორი ბატონი პროტენი მიკროფონთან მიდის და სთხოვს მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტსა და სსრ კავშირის მთავრობის წარმომადგენელს ადგილები დაიკავონ პრეზიდიუმში.

დარბაზში შეკრებილნი ფეხზე დგებიან და ტაშით ხვდებიან ბატონ ლე რუჟსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

ბატონი ლე რუა გახსნილად აცხადებს კონგრესს და სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის მთავრობის წარმომადგენელს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

ბატონო ლე რუა, ბატონო!

პატივცემულო დელეგატებო და სტუმრებო!

მე დიდ სიამოვნებას მგვრის მოგესალმოთ თქვენ, მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით და გისურვოთ დიდი წარმატებანი მუშაობაში.

მოხარული ვარ მოგესალმოთ აგრეთვე ქართველი ხალხისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახელით, რომლის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ეს კონგრესი.

აქ შეიკრიბნენ აგრონომები, ტექნოლოგები, მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში, რათა განიხილონ ამ დარგების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პრობლემები შეძენილი გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა ფართო გაზიარების გზით.

მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიურო 40 წელზე მეტია ახორციელებს ნაყოფიერ მუშაობას მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა განზოგადებისათვის. სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ მრავალი წლის მანძილზე ბიუროს პრეზიდენტია ბატონი ლე რუა, რომელმაც ბევრი შრომა მოახმარა სხვადასხვა ქვეყნის მევენახეებსა და მეღვინეებს შორის მეცნიერული აზრისა და გამოცდილების გაზიარებას.

ამ კონგრესის მოწვევა, ჩვენი ღრმა რწმენით, შეასრულებს უაღრესად დიდ როლს მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში. საქართველოს სსრ მეურნეობისა და ეროვნული ეკონომიკისა მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ ამ ფორუმზე წარმოდგენილი ქვეყნების ეკონომიკაში.

ამ დარგებს დიდი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებში ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის შექმნისათვის დიდი ყურადღება ექცევა მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში გაშენებულია 661.000 ჰექტარი ვენახი, ხოლო ყურძნის საერთო მოსავალი ამჟამად აღწევს დაახლოებით 2 მილიონ 300 ათას ტონას. უახლოეს წლებში ვენახის ფართობი ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება ერთნახევარჯერ, გაიზრდება აგრეთვე ყურძნის საერთო მოსავალი.

საქართველო, რომლის დედაქალაქი არჩეულია ამ კონგრესის ადგილად, მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა, რასაც მოწმობს წარსულის მატერიალური კულტურის დიდძალი ძეგლი, ამასვე ადასტურებს ის, რომ აქ 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშის ვაზია. ქართველი ხალხის სიყვარულმა მევენახეობისადმი, დაუცხრომელმა ზრუნვამ და დიდმა ყურადღებამ მისდამი შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ყურძნის განთქმული ჯიშები, როგორიც არის „საფერავი", „რქაწითელი", „ციცქა", „ალექსანდროული", „ჩხავერი" და სხვები, რომლებითაც აყენებენ მსოფლიოში ცნობილ ქართულ ღვინოებს.

მეღვინეობის განვითარებასთან ერთად როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოს სს რესპუბლიკაში უმჯობესდება ღვინოების ხარისხი. უკანასკნელ 7 წელიწადში საერთაშორისო კონგრესებსა და გამოფენებზე საბჭოთა ღვინოებმა მიიღო 155 ოქროს, 156 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. ქართულმა ღვინოებმა მოიპოვეს 23 ოქროს, 43 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი. წლითიწლობით დიდდება საბჭოთა

(დასასრული მე-3 გვ.).

სურათებზე: მარცხნივ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი და მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი პიერ ლე რუა ერთმანეთს მიესალმებიან; მარჯვნივ — სსრ კავშირის დელეგაცია კონგრესზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო აჰმედ შუქეირი

გაგრა, 12 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საუდის არაბეთის სახელმწიფო მინისტრი და მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აჰმედ შუქეირი, რომელიც სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში, და მასთან ჰქონდა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა აჰმედ შუქეირსა და მის მეუღლეს ისადილონ მასთან და ა. ი. მიქოიანთან ერთად, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვის მეზობლად ისვენებს.

დამთავრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

მოსკოვი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა უმაღლესი ტექნიკური და ჰუმანიტარული განათლების სიმპოზიუმის დასკვნითი პლენარული სხდომა. პროფესორმა ლ. ლაზარევმა (სსრ კავშირი), ლ. როზენფელდმა (ბელგია) და პ. მაჰალანობისმა (ინდოეთი) შეაჯამეს დისკუსიის შედეგები განათლების პრობლემებზე მეცნიერულ-ტექნიკურ, სოციალურ და ისტორიის მეცნიერებათა დარგებში, პედაგოგიური კადრების მომზადების დარგში.

მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, სიმპოზიუმის თავმჯდომარემ ინგლისელმა მეცნიერმა ს. პაუელმა წარმოთქვა სამოლოო სიტყვა, რომელშიც მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეცნიერებს, ყველა მოსკოველს სტუმართმოყვარეობისათვის, რამაც ხელი შეუწყო სიმპოზიუმის წარმატებით მუშაობას მშვიდობის, მთელი კაცობრიობის პროგრესის საკეთილდღეოდ.

„კუბა ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის სიმბოლოა"

პანამა, 13 სექტემბერი. (საკდესი). ამასწინათ სანტ-იაგოში გამართული ლათინური ამერიკის პროფკავშირული კონფერენციის დელეგატებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ზრახვები კუბის წინააღმდეგ და დაადასტურეს თავიანთი სოლიდარობა კუბის რევოლუციისადმი, იუწყება პრენსა ლატინას საგენტო.

„ჩემი ქვეყნის მუშები არ დაუშვებენ, რომ მათი ეროვნული ტერიტორია გამოყენებული იქნეს კუბაზე თავდასხმის ბაზად", — განაცხადა კოსტა-რიკის მშრომელთა წარმომადგენელმა ხუან მორალეს ალფარომ.

„კუბა ლათინური ამერიკის ყველა დანარჩენი ხალხის დამოუკიდებლობის სიმბოლოა, — ხაზგასმით აღნიშნა ბრაზილიის დელეგატმა სესარ რომეუ მარტესინამ. — ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ რომელიმე იმპერიალისტურმა ქვეყანამ თავისი ბინძური ფეხი შედგას პატარა და სახელოვან კუნძულ კუბაზე. ბრაზილიის მშრომელები თვალის ჩინივით დაიცავენ კუბის რევოლუციას".

ფრანგი მაღაროელები პროტესტს აცხადებენ

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი მაღაროელთა ფედერაციის ეროვნულმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით გმობს საომარ კამპანიას კუბის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აღვივებენ. ტექსტი რეზოლუციისა, რომელშიც ფრანგი მაღაროელები ძალურ სოლიდარობას უცხადებენ კუბელ მეშახტეებს, გაეგზავნა შეერთებული შტატების პარიზის საელჩოს.

საქდესის განცხადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაზეთებში

პეკინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). დღეს „ჟენმინ ჟიბაომ" და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს შინაარსი განცხადებისა, რომელიც საკდესმა გაავზავნა საბჭოთა მთავრობის დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციებთან დაკავშირებით.

„ჟენმინ ჟიბაო" აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციებმა შეიძლება ჩაიშალოს მსოფლიო საყოველთაო მსოფლიო ომის კატასტროფაში, სადაც გამოყენებული იქნება ატომური იარაღი.

პრეზიდენტ დე გოლის გადაწყვეტილება

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომის შემდეგ აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრეზიდენტ დე გოლს განზრახული აქვს „შესთავაზოს თავის ქვეყანას გადაწყვიტოს რეფერენდუმის გზით, რომ ამიერიდან რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩიონ საყოველთაო კენჭისყრით".

თავისუფალი კუბა მარჯო არ არის!

ეს არ უნდა მოხდეს!

კვლავ შავი ღრუბლები გროვდება კუბის თავზე. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ამზადებენ მასზე თავდასხმას.

ეს მთელი პროგრესული კაცობრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

კუბა, რომელიც თავისუფალ, ახალ ცხოვრებას აშენებს, არ უნდა გახდეს აგრესიის მსხვერპლი. მას თავისი რევოლუციური მოხალოვრების დაცვაში მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, მასთან, თავისუფალ კუბასთან არის ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო.

ჩვენ, მეცნიერები, მოწოდებულნი ადამიანთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, აღშფოთებული ვართ ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული ცდებით — თავს მოგვახვიოს ახალი ომი.

არა, ეს არ უნდა მოხდეს!

პ. ბელბახიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი.

შეწყდეს იარაღის ჟღარუნი

სოხუმი. (საკ. კორ.). დიდი აღშფოთებით შეიტყო სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა ამერიკელი იმპერიალისტების მიერ თავისუფალ კუბაზე ვერაგული თავდასხმის მზადების ამბავი.

სამუშაო საათების შემდეგ აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. გულის სიღრმემდე ააღელვა თავისუფალი შრომით გართული ხალხი საკდესის განცხადებამ.

— საკდესის განცხადება, — თქვა მიტინგის გახსნისას კომბინატის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ დ. უბილავამ, — გამსჭვალულია მშვიდობის შენარჩუნებისა და ადამიანთა ბედნიერებისათვის ზრუნვით. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნას მთელ მსოფლიოში.

სიტყვას იღებს ზეინკალი გურამ ფოჩხუა. თავისუფალ კუბას კვლავ ცეცხლით ემუქრებიან, ამბობს ახალგაზრდა მუშა, ამერიკელი აგრესორები ცდილობენ თავს დაესხან მშვიდობისმოყვარე კუბელ ხალხს, იმ საბაბით, რომ თითქოს იგი საფრთხეს წარმოადგენდეს ამერიკისათვის. მაგრამ ამას ვინ დაიჯერებს. მათ მხოლოდ რევოლუციის სულისკვეთებისა ეშინიათ და არა სამხედრო იარაღისა, რომელსაც კუბა თავისი თავდაცვისათვის იღებს. საბჭოთა კავშირი ყოველთვის დახმარების ხელს უწვდიდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს და ახლაც გაუწვდის ხელს კუბელ მეგობრებს. ხელი არ ახლოთ კუბას! — აი ჩვენი მუშური პასუხი ამერიკელ იმპერიალისტებს.

— ამერიკელი იმპერიალისტები იარაღის ჟღარუნით ვერ შეაშინებენ მშვიდობის ბანაკს, — განაცხადა პირველი შემკერავი საამქროს ოსტატმა ლიდია ბუღროვამ, — ჩვენი სამშობლო გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებს ყოველგვარ აგრესორს. ვინც ქარს თესავს, იგი ქარიშხალს მოიმკის. კუბა არის და იქნება თავისუფალი.

ამერიკელი აგრესორების მიერ ომის ფსიქოზის გაჩაღების წინააღმდეგ თავიანთი აღშფოთება გამოთქვეს აგრეთვე მუშებმა სტ. გნიდინმა, ხ. კალეგიანმა, ი. მალკევიჩმა და სხვ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ იმპერიალისტთა ვერაგულ განზრახვას.

საკდესის განცხადების პასუხად საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა თავდადებული შრომით იბრძოლოს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის

მთელი საბჭოთა ხალხი. მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანი აღშფოთდა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის საფრთხემ, რომელიც მიმართულია გმირი და თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ ძვირფასია რევოლუციის მონაპოვარი, რევოლუციისა, რომელიც კუბელმა ხალხმა მოახდინა. ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც კუბიდან გაძევებულ იქნენ, მოსვენებას არ აძლევს ამ პატარა ქვეყნის დიდი წარმატებები. მათ სურთ მოახრჩონ კუბელი ხალხი და თავიანთ სატელიტად გაიხადონ იგი.

მაგრამ კუბა მარტო როდია, მის მხარეზეა მთელი ჩვენი სამშობლო, ყველა სოციალისტური ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა. წავიდა ის დრო, როცა იმპერიალისტებს დაუჯერებლად შეეძლოთ აგრესიის მოხდენა. დავიხსოვდეთ მათ, რომ ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის.

ნაზი მაღლაკელიძე,

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თეთრი სახლის მოწოდებით

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ჯონ ფინის მიერ გაშიფრული ტექსტი, რომელიც მიმართულია გმირი და თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

„ამის გამო, რომ თეთრმა სახლმა ბრძანება გამოსცა უაღრესი საიდუმლოების შესახებ, განაგრძობს ფინი, თანამდებობის პირებს ნება არ დართეს დაეზუსტებინათ, თუ რამდენი ატომოსფერული გამოცდაა დაგეგმილი.

გარდა ამ „რამდენიმე" ატომოსფეროში, გეგმა № 8 სპეციალური დანიშნულების გაერთიანებულ ჯგუფს ავალებს განახორციელოს კიდევ სამი ატომური ან ბირ სიმაღლეზე კენძულ ჯონსტონზე. ეს ატომური ტესტები განხორციელდება რაკეტების დახმარებით დაახლოებით 20, 50 და 80 მილის სიმაღლეზე.

„ეგეთი ატომოსფეროში და ბირ სიმაღლეზე კენძულ ჯონსტონზე დაიწყება სექტემბრის დამლევს ან ოქტომბრის დამდეგს".

ცნობები

პარტიული ცხოვრება

ანგარიშგება-არჩევნები
პირველადს პარტორგანიზაციებში

დამაფიქრებელი კონფერენციები

კოლმეურნე ვარლამ ყორყოლიანმა ნადექდა ზაგლადას სტატია წაიკითხა და შვებით ამოისუნთქა. გულსა და გონებაში ჩასწვდა მასავით რიგითი მშრომელის უბრალოდ და მართლად დაწერილი ყოველი სიტყვა.

მერე ისევ გაზეთი აიღო ხელში და თავის თავს გამოელაპარაკა:

— შორს არის ჩვენგან ეიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისი", კოლმეურნეობა „ავანგარდიც" შორს არის. მაგრამ რა ახლოს არიან ისინი ჩვენთან თავიანთი საქმეებით!

მაინც ეს ოჯახაშენებული ისე წერს, თითქოს წყალტუბოს რაიონშიც ყოფილიყოს და ფეხით დავევლოს ჩვენი დიდი სოფლის — მაღლაკის ოთხივე კოლმეურნეობა.

ჩვენს წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და მეზობელ რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაშიც ხომ იგივე სურათია, როგორც „პირველ მაისსა" და „ავანგარდში". ერთი წინ მიდის, მეორე კი ძველებურად ერთ ადგილს ტკეპნის.

იცის ვარლამმა, მან კი არა, მთელმა რესპუბლიკამ იცის — წყალტუბოს საწარმოო სამმართველომ მეჩაიეობაში მიღწეული წარმატებებისათვის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა, ახლად ნაკისრი გადიდებული ვალდებულებაც შესრულა.

მაღლაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა კი მაინც კუს ნაბიჯით მიდის. შარშანაც ვერ შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება, წელსაც ჩამორჩნენ. 4 სექტემბრისათვის ეს ტონამდე ნედლეული მოარეფეს, გეგმა კი 108 ტონას ითვალისწინებს.

ახლა სხვა დარგებზეც ვილაპარაკოთ..

შარშან პექტარზე საშუალოდ 14 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ბოსტნეულის წარმოებასა და დამზადებაშიც ჩამორჩნენ. მომდინარე წელსაც ასე გრძელდება. სეზონი გადის, სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა კი მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული.

მეზობელ რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში კი სულ სხვა სურათია. შარშან იგიც ჩამორჩენილი იყო. წელს კი ამ ნამდვილ სასწაულს ახდენენ. ჩაის კრეფის წლიური გეგმა ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს, მთელ საწარმოო სამმართველოში ყველაზე ადრე — 1 სექტემბრისათვის გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური დავალება და ახლა ათობით ტონა ზედგამოთ პროდუქციას ამზადებენ.

ყველაფრიდან ჩანს, დამაფიქრებელი კონტრასტებია!..

და მერე რატომ? — მიწაც ერთნაირია, პლანტაციებიც, სარწყავებიც... ადამიანებიც თითქოს ერთნაირად შრომობენ.

— არა! — მტკიცედ თქვა ვარლამმა. საქმეც სწორედ ის არის, რომ ჩვენთან ადამიანები სხვანაირად მუშაობენ. მართალია, ბევრი კარგი მშრომელი გვყავს. თუნდაც კომუნისტი მეჩაიე მერგოლური ნორა მარდალეიშვილი დავასახელოთ. პირადად მან 1.100 კილოგრამის ნაცვლად 3.900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი შოკრიფა, ხოლო მისმა რგოლმა ათის ნაცვლად თხუთმეტ ტონამდე ნედლეული დაახვავა.

რა იქნებოდა, ყველას რომ ასე ეშრომა? სასწაულები მაშინ გვნახათ! მაგრამ... კვლავ მოაგონდა ვარლამს ნ. ზაგლადას სიტყვები: ზოგიერთებს სწორად არ ესმის სოფლის მშრომელებისადმი პარტიის დიდი ზრუნვა და სხვის შემყურეობას, უსინდისობას იჩენენ.

სხვა ვინ, თუ არა პირველ რიგში ჩვენ, კომუნისტები, უნდა გავუფრთხილდეთ სოფლის მშრომელთა ღირსებას, პირადი მაგალითი ვუჩვენოთ ყველას.

ადრე მოვიდა კომუნისტი ვარლამ ყორყოლიანი კოლმეურნეობის კანტორაში. აქ მოვიდნენ სხვა კომუნისტებიც. პარტიული კრება კი მაინც არ იწყება. ელოდებიან ორ-სამ დაგვიანებულს. და ახლაც მოაგონდა ვარლამს ნ. ზაგლადას ნათქვამი. იგი რგოლზე, შრომის დისციპლინის დამრღვევებზე წერს, აქ კი პარტიულ დისციპლინას არღვევენ. ორი ამხანაგის მიზეზით კრება ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.

გულახდილად ილაპარაკა პარტიულის მდივანმა ყაკაკი ყორყოლიანმა. საანგარიშო მოხსენებაში მთავარი ყურადღება დაეთმო სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მასში პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების ავანგარდულ როლს.

და მაინც ბევრ კომუნისტს უსაყვედურა მომხსენებელმა. შალვა კვერნაძის, თედორე, დავით და შოთა ყორყოლიანების ოჯახებიდან არც ერთ წევრს არ შეუსრულებია ჩაის კრეფის გეგმა.

კიდევ მეტი შეეძლო ეთქვა პარტიულის მდივანს. მაგრამ, რატომღაც, ყველაზე სამარცხვინო ფაქტი გამორჩა. როგორც კრებაზე გამოირკვა, კომუნისტი ბრიგადირის ვლადიმერ კვერნაძის მეუღლეს, რომელიც შრომისუნარიანია, წელს ერთი შრომადღეც არ გამოუმუშავებია.

განა ასეთი ბრიგადირი გაიყოლებს ხალხს?

ბრიგადა სამარცხვინოდ ჩამორჩა. 20.750 კილოგრამის ნაცვლად დღემდე 16.253 კილოგრამი ჩაი მოკრიფა და საეჭვოდ გახადა წლიური გეგმის შესრულება.

— მაინც რამ შეუშალა ხელი? — რეპლიკა ესროლეს მომხსენებელს, და ყველამ ბრიგადირისაკენ გაიხედა.

— ჩვენი პლანტაციების ერთი ნაწილი არ ირწყვება, — თავი იმართლა ბრიგადირმა.

მაგრამ იმავე პირობებში მესამე ბრიგადამ ხომ ჩაის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა?!..

მომხსენებელს არ დაუფარავს, რომ პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიუროსუსტად ეწევიან ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. კომუნისტები სწორად არ არიან განაწილებული წარმოების გადამწყვეტ უბნებზე: მეცხოველეობის ფერმაში არც ერთი კომუნისტი და კომკავშირელი არ მუშაობს, ცუდად არის დაყენებული საგარეო მუშაობა, მინდვრად არ უშვებენ „ილვა" ფურცლებს, ხოლო კედლის გაზეთი შემოხვევიდან შემოხვევამდე გამოდის.

მომხსენებელს არაფერი უთქვამს შრომის ორგანიზაციისა და დამატებითი ანზღაურების მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ. არც მას, არც მოკამათეებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ იმაზე, რომ მაშინ, როცა მუშახელის არასაკმაო რაოდენობას უჩივიან, შრომისუნარიან კოლმეურნეთა 20,2 პროცენტი არ გამოდის სამუშაოზე.

კრებაზე ბევრი საყვედური შეხვდა პარტბიუროს და კოლმეურნეობის გამგეობას.

ვარლამ ყორყოლიანმა ისევ კონტრასტებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. თუ მეზობელი კოლმეურნეობა ერთ წელიწადში წელში გაიმართა, ჩვენ რაღა გვემართება? ჩანს, გვაკლია მონდომება, შრომის სიყვარული, რეზერვების გამოვლინების უნარი.

მეზობლის ბედით დაინტერესებაზე, პირადი მაგალითის ძალაზე ილაპარაკა კოლმეურნე ვახტანგ ყორყოლიაშვმ. ჩვენთან, — თქვა მან, — ადამიანებს დასაუშავებლად მიწის ნაკვეთებს მივამაგრია, ბ

მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ღვინოების ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ჩვენში შექმნილია მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი — სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საცდელი სადგურები, საყრდენი პუნქტები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სელექციის, აგროტექნიკის, ვაზის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის, ღვინის ტექნოლოგიისა და ბიოქიმიის საკითხებზე.

მეღვინის პროფესია უძველესი მშვიდობიანი პროფესიაა. ტყუილად როდი იყო, რომ შორეულ წარსულში ყურძნის მტევანი მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ერთი ქვეყნის მევენახეობის განვითარების მიღწევები ბევრი სხვა ხალხის კუთვნილება ხდება.

აი ახლაც თქვენ შეიკრიბენით იმისათვის, რომ ისაუბროთ მეღვინეობის, ვენახის გაშენების აგროტექნიკის, მევენახეობის შემდგომი მექანიზაციის საარსებო პრობლემებზე, ვაზის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებზე, ღვინის დავარგებისა და დაღვინების დროს მიმდინარე პროცესებზე.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საკითხთა ფართო განხილვა ხელს შეუწყობს იმას, რომ განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება და ცოდნა, რომ ერთი ქვეყნის მიღწევები სხვა ქვეყნების კუთვნილება გახდეს.

უეჭველია, დიდ ინტერესს გამოიწვევს ყველა ქვეყნის მეცნიერთა ინფორმაციები ამ კონგრესზე. ყველას როდი აქვს ნათელი წარმოდგენა, თუ რა რთულია შრომა მევენახეებისა და მეღვინეებისა, რომლებიც ქმნიან და აყალიბებენ ღვინის თვისებრივ საფუძვლებს, გვიჩვენებენ იმ ქიმიური პროცესების სირთულეს, რომლებიც ღვინის წარმოქმნის პერიოდში ხდება.

თქვენ მეღვინეთა არმიის საუკეთესო წარმომადგენლები ხართ, რომლებიც ყურძნისაგან აკეთებთ საუცხოო გემოს, ფაქიზი არომატის ნაირნაირ პროდუქციას.

ყურძენი და ყურძნის ღვინო ოდითვე ითვლება კვების პროდუქტად და ყოველთვის ამშვენებდა ადამიანის სადღესასწაულო სუფრას. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ დიდი საბჭოთა მწერლის მაქსიმ გორკის ხატოვანი სიტყვები: „...ბედნიერება იმ ბუნებას და დიდება იმ ხალხს, რომელმაც შეძლო ჭიქაში მოექცია მზის ენერგია მშრომელთა სასარგებლოდ და სასიხარულოდ“. ეს მევენახეთა და მეღვინეთა კეთილშობილური შემოქმედებითი შრომის მაღალი შეფასებაა.

პატივცემულო სტუმრებო! ჩვენ მოხარული ვიქნებით ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი თქვენი კონგრესის მუშაობას, რაც შეიძლება უფრო სრულად გაგაცნოთ ჩვენი მიღწევები მევენახეობასა და მეღვინეობაში. ვეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია ესოდენ მოკლე პერიოდში, გაგაცნოთ აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთი ღირსშესანიშნაობა, ჩვენი ხალხის ცხოვრება.

საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის განვითარებას, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მეცნიერული ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას არა მარტო როგორც მეცნიერული პრობლემების წარმატებითი გადაჭრის ხელშემწყობ ფაქტორს, არამედ აგრეთვე როგორც ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას დედამიწაზე ურთიერთგაგების დამყარებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ეს კონგრესი, ისევე როგორც ყველა ამგვარი საერთაშორისო ფორუმი, ხელს შეუწყობს ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცებას, საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

დასასრულ გ. დ. ჯავახიშვილმა კონგრესის მონაწილეთ უსურვა წარმატებითი ნაყოფიერი მუშაობა და სასიამოვნო ყოფნა საქართველოში, რასაც დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ შეკრებილთ მიმართა მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა ბარონმა ლე რუამ:

ძვირფასო მეგობრებო და სტუმრებო! მისალმების სიტყვები, რომლებიც თქვენ ეს არის მოისმინეთ, გულშიჩამწვდომი იყო. ჩვენ მხურვალე მადლობას ვაცხადებთ იმ მიღებისათვის, რაც გაგვიწიეს როგორც მოსკოვში, ისე აქ — თბილისში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სპეციალურად აირჩია კონგრესის მოსაწყობად სსრ კავშირის მთავრობამ. მართლაც, დედამიწაზე თუ კი არსებობს რაიონი, სადაც მევენახეობა განვითარებულია უძველესი დროიდან, თემურლენგის დროიდან, ეს საქართველოა.

ბევრი განსაცდელი გამოიარა ვაზმა საქართველოს მიწაზე. აქ სამჯერ სავსებით მოსპეს ზვრები, მაგრამ ისინი კვლავ აღორძინდნენ. და, როგორც შესანიშნავად თქვა გორკიმ, ...ვაზის წვენი უწინდებურად მზესავით ილვრებოდა ჭიქაში და იზიდავდა სხვადასხვა თაობის ადამიანთა ყურადღებას.

სსრ კავშირი, სადაც მუშაობის პატივი წილად ხვდა ჩვენს კონგრესს, დიდი ქვეყანაა: 10 ათასი კილომეტრი სიგრძეზე, 5 ათასი კილომეტრი სიგანეზე, ფართობი რომელიც სამჯერ აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ფართობს, შვიდჯერ — ინდოეთისას, ორმოცჯერ — საფრანგეთისას. უზარმაზარი ფართობი, შესანიშნავი მდინარეები, რომლებიც სერავენ ამ ქვეყანას, 200 მილიონი მოსახლეობა, რომელიც წელიწადში სამი მილიონით იზრდება, — ასეთია ამ ქვეყნის ზოგადი სურათი.

ეს არის დიდი და ხანგრძლივი ისტორიის ქვეყანა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ტანჯვა-ვაებით დაიბადა. და სანამ ისეთი გახდებოდა, როგორიც ამჟამად არის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა გრძელი ისტორიული გზა გამოიარა. ჯერ კიდევ წარსულში ისტორიკოსები, მაგალითად, ჰეროდოტე, ლაპარაკობდნენ სკვითებზე, რომლებიც ბევრ თავდასხმას აწყობდნენ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. პირველი თავდასხმა ამ ქვეყანაზე სკვითებმა მოახდინეს უძველეს დროში, მაგრამ წააწყდნენ ხალხის დიდ გმირობას და უკუიქცნენ. მაგრამ ეს საგულისხმო გაკვეთილი არაერთხელ დაივიწყეს და არაერთხელ მიმართავდნენ ასეთ ცდებს: ჰუნები — უძველეს დროში, თურქები, მადიარები და ბევრი სხვა, XII და XIII საუკუნეებში კი გერმანელი ქოფაკი რაინდები თავს ესხმოდნენ ამ ქვეყანას, მაგრამ მათი შემოსევები ყოველთვის სამარცხვინო მარცხით მთავრდებოდა.

დიდი რუსი მწერალი გერცენი წერდა, ისააკის ციხე-სიმაგრის ზარბაზნებმა მთელი თაობა გამოაღვიძესო.



მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი. სურათზე: სხდომათა დარბაზში.

ფოტო ა. დვალისა და ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიახ, ჩვენ ვიცით კიდევ ბევრი სხვა შესანიშნავი მოვლენა რუსეთის სახელმწიფოს განვითარებაში, განაგრძო ორატორმა. 1917 წლის რევოლუციამ, რომელიც მომზადდა და განხორციელდა ვლადიმერ ულიანოვი-ლენინის ხელმძღვანელობით, დაამყარა ახალი რეჟიმი, შექმნა ახალი სახელმწიფო რუსეთში.

შემდეგ იყო ფართო ინდუსტრიალიზაციის, მთელი ქვეყნის გარდაქმნის, სოფლის მეურნეობის განვითარების პერიოდი, რაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, შეაჩერა ამ ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმამ. მიუხედავად უდიდესი ნგრევისა, მიუხედავად უდიდესი მატერიალური და ადამიანთა მსხვერპლისა, საბჭოთა კავშირი დაადგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და გარდაქმნის გზას. ამის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი შედეგები იყო საბჭოთა კავშირის პრეტიქის უდიდესი ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე.

ყოველივე ამას იმიტომ მოგაგონებთ, რომ მინდა გითხრათ, რომ ეს ქვეყანა, მისი ტრადიციები დიდი პატივისცემის ღირსია.

მე უკვე ვთქვი, რომ საბჭოთა კავშირს ამჟამად უჭირავს ისეთი ადგილი, როგორიც არასოდეს არ სჭერია რუსეთს, და ამას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს ცხოვრების ყოველ დარგში. ეს შეეხება ჩვენს დარგსაც — მევენახეობასა და მეღვინეობას.

საბჭოთა მთავრობის თავაზიანი მოწვევით ჩვენ ვესტუმრეთ ამ რესპუბლიკას და მთელ საბჭოთა ქვეყანას, მოვუწოდებ კონგრესის წევრებს, ამ ქვეყანაში რომ ჩამოვიდნენ, განიმსჭვალონ მისდამი ნდობის გრძნობით, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან როდია.

ჩვენი თანამირის დამთავრების შემდეგ ვეწვევით მევენახეობის რაიონებს, სადაც, დარწმუნებული ვარ, ისევე გულთბილად შეგვხვდებიან, როგორც ახლა აქ.

ჩვენი პროფესიის ადამიანებს, რომლებიც ღვინოს აწარმოებენ, მეღვინეობას ეწევიან, ამჟამად საერთო აზრები და საერთო გრძნობები აქვთ, ისინი თითქოს ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენენ. და რა აზრების, რა შეხედულებებისაც უნდა იყონ, ყველანი ერთსულოვნად ემსახურებიან საერთო საქმეს.

მინდა შევადარო ეს ქვეყანა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ჩემს სამშობლოს — პროვანსს.

დასასრულ ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ გამოიყენოთ არა მარტო გამოცდილება, არამედ ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ნდობის გრძნობებიც, რომლებიც ადამიანის საერთო თვისებას შეადგენენ დაბადებიდანვე და რომლებიც ყოველნაირად უნდა განვავითაროთ. თუ ასე მოიქცევით, მაშინ ხელს შეუწყობთ მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საერთო საქმეს, აგრეთვე კაცობრიობის საერთო კეთილდღეობის განვითარებას, კაცობრიობისა, რომელიც შექმნილია არა მოსასპობად, არამედ კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

დარბაზმა ხანგრძლივი ტაშით უპასუხა ორატორს.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ კონგრესი შეუდგა თავისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას.

მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს წინადადებით კონგრესის თავმჯდომარედ აირჩიეს საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი ბარონი ლე რუა. ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეულნი არიან სსრ კავშირის, პორტუგალიის, ბულგარეთისა და გერმანიის წარმომადგენლები.

შემდეგ აირჩიეს კონგრესის სექციების ხელმძღვანელი ორგანოები. მევენახეობისა და ვაზის პათოლოგიის სექციის თავმჯდომარედ არჩეულია იტალიის წარმომადგენელი პროფესორი გ. დალმასო. ამ სექციის ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეულნი არიან ჩეხოსლოვაკიისა და ტუნისის წარმომადგენლები. მეღვინეობის სექციის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის წარმომადგენელი პროფესორი მ. გერასიმოვი, ვიცე-თავმჯდომარეებად — უნგრეთისა და ისრაელის წარმომადგენლები.

ამით მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დამთავრდა. ბარონმა ლე რუამ ერთხელ კიდევ დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ მთავრობას, რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას ჩინებული პირობებისათვის, რაც შექმნილია კონგრესის ნორმალური მუშაობისათვის, წარმატებები უსურვა კონგრესის მონაწილეებს.

შემდეგ მუშაობას შეუდგნენ სექციები (საქდესი).

დღის წესრიგშია ღვინის წარმოების ტექნოლოგიის საკითხები

13 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ დარბაზში გაიმართა მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის მეღვინეობის სექციის პირველი სხდომა.

სექციის მუშაობაში მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის, საბერძნეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები და სპეციალისტები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილები დაიკავეს — სექციის თავმჯდომარემ, რუსეთის სფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა მ. ა. გერასიმოვმა, სექციის თავმჯდომარის მოადგილეებმა ემანუელ როზენშტეინმა (ისრაელი) და ფერენც მიალუზმა (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა), სექციის მდივანმა პროფესორმა პოლ ფოლმმა (საფრანგეთი).

პირველად მოისმინეს მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ქალაქ ბორდოს (საფრანგეთი) აგრონომიისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის დირექტორის ჟ. რიბერო-გაიონის გენერალური მოხსენება „დაჟანგვა-აღდგენის პროცესები ღვინის დადღეებისა და დაძველების დროს და რეგულირების მეთოდები“. ჟ. რიბერო-გაიონის დავალებით მოხსენება წაიკითხა პროფესორმა პოლ ფოლმმა. მოხსენებაში საფუძვლიანად არის გაანალიზებული გერმანიის, ავსტრიის, ბულგარეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ლუქსემბურგის, პორტუგალიის, იუგოსლავიის ეროვნული მოხსენებანი, წარმოდგენილი მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესზე. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოხსენებებს დიდმნიშვნელოვანი წვლილი და ახალი იდეები შეაქვთ განსახილველ საკითხში, დიდი მნიშვნელობა აქვთ მეღვინეობის პრაქტიკისათვის.

ეროვნული მოხსენებანი შეიცავენ ძვირფას მითითებებს, რომლებითაც იხელმძღვანელებენ თავიანთი კვლევითი მუშაობის შესრულების დროს მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც ამუშავებენ ღვინის დადღეებისა და დაძველების დროს დაჟანგვა-აღდგენის პროცესთა პრობლემებს.

შემდეგ მოისმინეს სოფლის მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტის ინჟინერ-აგრონომის ე. ფეიუჩიოს (ქალაქ მადრიდი) გენერალური მოხსენება „ანტისეპტიკურ საშუალებათა გამოყენება ღვინის წარმოებაში გოგირდოვან ანჰიდრიდთან ერთად ამ უკანასკნელის შეცვლის მიზნით.“ მოხსენება წაიკითხა ინჟინერ-აგრონომმა, პორტუგალიის მუდმივმა დელეგატმა მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროში ბარბედო გალიანომ. მოხსენებაში განხილული საკითხები იმის შესახებ, თუ გოგირდოვანი ანჰიდრიდის რა დოზებს იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში კლიმატური პირობების თავისებურებათა, წარმოებული ღვინის ტიპებისა და ეროვნულ ჩვეულებათა გასხვავების გათვალისწინებით, საკითხები ანტისეპტიკების შესახებ, რომლებიც გოგირდოვანი ანჰიდრიდის შესაძლო შეცვლელია, სორბირებული მჟავის შესახებ, მისი კვლევისა და მეღვინეობაში გამოყენების გამოცდილების შესახებ და ა. შ.

დიდი ინტერესით მოისმინეს აკადემიკოს ა. ი. ოპარინის (სსრ კავშირი) მოხსენება „ღვინის ბიოქიმია“. სექციის წევრებს ეს მოხსენება გააცნო მოსკოვის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ი. ა. ეგოროვმა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ბიოქიმიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა სიცოცხლის მეცნობიერებისთვის. ეს განაპირობა იმან, რომ მისი შესწავლის მთავარი საგანია ნივთიერებათა ცვლის კვლევა, ქიმიური გარდაქმნების იმ კანონზომიერი წესის კვლევა, რომელიც საფუძვლად უდევს გარე სამყაროსთან ორგანიზმთა ურთიერთმოქმედებას.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის მოხსენებაში ბიოქიმიურად დახასიათებულია მეღვინეობის საწარმოო პროცესის სხვადასხვა სტატიები. აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი მივიდა დასკვნამდე, რომ მეღვინეობაში ბიოქიმიური რეაქციების შესწავლა, რომლებიც წარმოების ცალკეულ სტადიაში მიმდინარეობენ, ჩვენს წინაშე საბავშვო იმის შესაძლებლობას, რომ შეგნებულად ვმართოთ ტექნოლოგიური პროცესი. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ფერმენტიანი პრეპარატების ფართო გამოყენებამ.

შესვენების შემდეგ მეღვინეობის სექციამ განაახლა მუშაობა. მოხსენება „სპირტის დუღილის მეორადი პროდუქტების წარმოქმნისა და ქიმიზმის საკითხისათვის“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ვ. დურმიშიძემ. მოხსენებამ სხდომის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო ძვირფასი ექსპერიმენტული მონაცემებით, რომლებიც ახლებურად აშუქებენ სპირტის დუღილის საკითხებს.

მოხსენება მჩქეფარე ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერულ საფუძვლებზე გააკეთა კრასნოდარის კვების მრეწველობის ინსტიტუტის პროფესორმა გ. გ. ფაბალიანცმა. მან აღნიშნა, რომ მჩქეფარე ღვინოების წარმოებამ, რაც სამასი წლის წინათ დაიწყო საფრანგეთში, შამპანში, ფრიად ხანგრძლივი ემპირიული განვითარების გზა გამოიარა. თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტმა — შამპანისტმა გააშუქა ჩვენი ენოლოგების კვლევის შედეგები მჩქეფარე ღვინოების წარმოების დარგში და მოგვცა შესაბამისი განზოგადებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ამ ღვინოების დამზადების საფუძვლების შემუშავებას შეეხება.

მეღვინეობის სექციის სხდომებზე მოსმენილმა მოხსენებებმა გაცხოველებული აზრთა გაზიარება გამოიწვიეს ღვინის წარმოების ტექნოლოგიის სხვადასხვა პრობლემებზე. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს — ქალაქ ოჩის (პოლონეთი) ტექნოლოგიური ინსტიტუტის დუღილ-ს ტექნოლოგიის კათედრის პროფესორმა სტანისლავ მაშორმა, პროფესორმა მ. ა. გერასიმოვმა (სსრ კავშირი), საფრანგეთის ღვინეულის პროდუქტთა ცენტრალური სადგურის დირექტორმა მიშელ ფლანქიმ, ფლორენციის (იტალია) უნივერსიტეტის მეღვინეობის პროფესორმა პიერ გაროლიმ, პროფესორმა პოლ ფოლმმა (საფრანგეთი), ათენის ღვინის ინსტიტუტის დირექტორმა ჟორჟ ჟორჟიადისმა, ქალაქ ნოვი სადის (იუგოსლავია) უნივერსიტეტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა დრაგოსლავ მილოსლავევიჩმა.

14 სექტემბერს მეღვინეობის სექცია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

მეჯი სუფრის ყურძენი

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესის საზეიმო გახსნის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო მევენახეობისა და ვაზის პათოლოგიის სექციამ. მისი სხდომა მიმდინარეობდა ქალაქ ტურინის (იტალია) აგრონომიული ფაკულტეტის საპატიო პრეზიდენტის, პროფესორ გ. დალმასოს თავმჯდომარეობით.

გენერალური მოხსენება სუფრის ყურძნის, მისი ჯიშების შერჩევის, მოვლა-მოყვანის მეთოდების, შეფუთვის, შენახვისა და ტრანსპორტირების შესახებ გააკეთა პროფესორმა კ. სტოევმა (ბულგარეთი). ეს მოხსენება ისევე, როგორც სხვა გენერალური მოხსენებანი კონგრესზე, იმ მასალების სინთეზია, რომლებიც მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროში წარმოადგინეს ამ ორგანიზაციის წევრმა სხვადასხვა ქვეყნებმა.

ვაზი ძველთაგანვე იყო მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლო. სუფრის ყურძნის საკვები და დიეტურ-სამკურნალო მნიშვნელობა ძალიან დიდია. მომხსენებელმა მოიყვანა საინტერესო მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ ამ დებულებას. ერთი კილოგრამი ყურძენი შეიცავს დაახლოებით 1200 კალორიას. ყურძნის გლუკოზასა და ფრუქტოზას ადვილად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი. ყურძენი შეიცავს აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობის ორგანომჟავებს, მინერალურ მარილებსა და ვიტამინებს, ამასთან ადამიანის ჯანმრთელობისათვის უმნიშვნელოვანეს ვიტამინებს. ამ ძვირფასი თვისებების მეოხებით, თქვა პროფესორმა სტოევმა, ყურძენი ფრიად ეფექტიანი სამკურნალო საშუალებაა. დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ ყურძნის სიტენმატური ჭამის დროს პატარა ბავშვები, რომლებიც ჩამორჩებიან თავიანთი განვითარებით, სწრაფად იწყებენ მომჯობინებას, იმატებენ წონაში.

პროფესორმა მეცნიერულად დაასაბუთა ყურძნის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანისათვის და ზოგადად დაახასიათა სუფრის ყურძნისა და ქიმშის წარმოება, მოხმარება და ექსპორტი საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ტუნისში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ისრაელში, არგენტინაში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში, უნგრეთში, რუმინეთში, საბჭოთა კავშირში, ბულგარეთში. ძირითადი ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა განზოგადდეს სუფრის ყურძნის საადრო ჯიშების გავრცელების გამოცდილება და რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს უმოკლეს ვადაში მოსახლეობის უზრუნველყოფას ახალი ყურძნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შემდეგ კი მთელი წლის მანძილზე.

აღინიშნა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, კერძოდ, საბჭოთა კავშირში გადიდდა სუფრის ჯიშების ვაზის ფართობი. ახლა ამ კულტურას ჩვენს ქვეყანაში უკავია დაახლოებით 100 ათასი ჰექტარი. პერსპექტიული გეგმით უახლოეს წლებში სუფრის ჯიშის ვაზის ნარგავები დაახლოებით ნახევარ მილიონ ჰექტარს დაიკავებენ ჩვენში. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პროგრამა წარმატებით სრულდება.

დიდი ინტერესი გამოიწვია სრულიად საკავშირო მეღვინეობისა და მევენახეობის იალტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „მაღარაჯის“ საქმიანობამ, რომლის შესახებ ილაპარაკა ინსტიტუტის წარმომადგენელმა პ. ი. გოლოდრიგამ. ამ ხამეცნიერო ცენტრის მეცნიერმა-სელექციონერებმა შექმნეს ყურძნის ზესაადრეცვო, უხეშაქრიანი, შესანიშნავი ჯიშები. მათი სვეგეტაციო პერიოდი 90-96 დღეს გრძელდება, ნაცვლად 100-110 დღისა. მაგალითად, საადრეცვო მაღარაჯის, საადრეო უკრაინულს ჯიშები 7-10 დღით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე საერთაშორისო ადრეულობის ეტალონი —უნგრული ჯიშის ყურძენი — მარგალიტი საბა.

კონგრესის დელეგატმა მ. პანსიომ (იტალია) ილაპარაკა დიდ პერსპექტივებზე, რომელთაც ყურძნის ეს ახალი ჯიშები მოიტანენ, თუ მათ გავავრცელებთ დიდად განვითარებული მევენახეობის ქვეყნებში.

დისკუსიაში პროფესორ სტოევის გენერალური მოხსენების გამო გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორი ე. ბრანსი (საფრანგეთი), პროფესორი ვ. ქანთარია (საქართველო), პროფესორი კონსტანტინესკუ (რუმინეთი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. მაყაშვილი (საქართველო), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. მამედოვი (აზერბაიჯანი), პროფესორი პ. ივანოვი (სომხეთი), მ. ელასკა (იუგოსლავია) და სხვები.

შემდეგ მოისმინეს გენერალური მოხსენება „ვაზის კულტურა ფერდობებზე“, რომელიც გააკეთა მოლდავეთის მეგეღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის განყოფილების გამგემ, პროფესორმა პ. ი. ივანოვმა. ფერდობებზე ვაზის კულტურის პრობლემის შესახებ წარმოდგენილი იქნა 17 ეროვნული მოხსენება ამ ქვეყნებიდან, სადაც ვენახების საერთო ფართობი დაახლოებით 7.465 ათას ჰექტარს შეადგენს. ამ ფართობიდან 2.760 ათასი ჰექტარი ფერდობებს უკავია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ფერდობებზე ვაზის მოვლა-დამუშავების საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს წევრი მიტი წილი ქვეყნებისათვის.

მოხსენებასა და სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სსრ კავშირში, რუმინეთში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში შეიმჩნევა ფერდობებზე ვენახების ფართობის ფრიად მნიშვნელოვანი ზრდა. ასეთი ვენახების ერთგვარი ზრდა შეიმჩნევა აგრეთვე პორტუგალიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში. მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში ვენახების ფართობები ფერდობებზე მცირდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ასეთ პირობებში დიდია შრომის დანახარჯები მათი მოვლა-დამუშავებისათვის. ამავე დროს ცნობილია, რომ ყურძენი მთის ფერდობებზე ბევრად უფრო გემრიელი მოდის, შეიცავს უფრო მეტ ძვირფას საკვებ ნივთიერებებს. ამჟამად მევენახეობა ფერდობებზე პერსპექტიული არ არის უმექანიზაციოდ. ეს სავსებით ცხადად და ხაზგასმით აღინიშნა მთელ რიგ ეროვნულ მოხსენებებში.

როგორც სექციის თავმჯდომარემ განაცხადა, დიდ ყურადღებას იმსახურებს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. კეცხოველის (საქართველო) ინფორმაცია საქართველოს სს რესპუბლიკაში ვენახებისათვის მთის ციცაბო ფერდობების ათვისების პრაქტიკის შესახებ, კერძოდ, ამ ფერდობებზე ვენახებისა და ტყის ზოლების მონაცვლეობა, აგრეთვე მაღლარი ვენახის მოვლა-დამუშავების პრაქტიკა.

ჩ. სიბილიას (იტალია) გენერალური მოხსენება „ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებული ახალი პრეპარატები“ წაიკითხა ი. კოსმომ (იტალია). იმის გამო, რომ ამ მოხსენებაში არ იყო მოცემული საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სრულიად საკავშირო მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ი. პოლიაკოვის გამოსვლამ ამ საკითხზე გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია. მან ილაპარაკა ახალ ძვირფას ღონისძიებებზე, ცდებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ანორციელებენ ვაზის მკურნალობისათვის. მეცნიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების დანერგვა, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს, მნიშვნელოვნად გააძლიერებს ვაზის ქიმიურ დაცვას ამ საშიში შესხურების შემოღების დადებით შედეგად შეიძლება მიჩნეული იქნეს აგრეთვე ვენახებში სარეველა მცენარეების მოსპობაც, რადგანაც ახალ პრეპარატებს ჰერბიციდული მოქმედების უნარიც აქვთ.

დღეს სექცია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

საბჭოთა ღვინოების დეგუსტაცია

საბჭოთა ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა 13 სექტემბერს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში. დეგუსტაციაზე მოწვეული იყვნენ მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის დელეგატები და სტუმრები, თვალსაჩინო საზღვარგარეთელი და საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები, პრესის წარმომადგენლები.

საბჭოთა ღვინოებმა ერთ-ერთი საუკეთესო სახელი მოიპოვეს მსოფლიოში. მარტოოდენ უკანასკნელ შვიდ წელიწადში მათ 155 ოქროს, 156 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მიეკუთვნა საერთაშორისო კონგრესებსა და გამოფენებზე.

ჩვენი ქვეყნის ღვინეულის მრეწველობის განვითარებასა * და მის პროგრესში დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ მეღვინეებს. რესპუბლიკაში ახლა მზადდება 61 მარკის ყურძნის ღვინო და კონიაკი, დიდ შეფასებას იმსახურებენ შამპანური ღვინოები. თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქციის ხვედრითი წონა სსრ კავშირში შამპანურის საერთო წარმოების 15-20 პროცენტს შეადგენს.

რუსეთის სფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა მ. ა. გერასიმოვმა წაიკითხა ღვინოების სახელწოდებანი და ტიპები, მოსავლის წელი, მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ქიმიურ შემადგენლობას, ილაპარაკა ყურძნის ამ ჯიშებზე, რომლებისგანაც წარმოებულია ეს ღვინოები. შემდეგ მან მიიწვია შეკრებილნი დეგუსტაციისათვის.

სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო მოლდავეთის, კრასნოდარის მხარის, საქართველოს, სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ოზერბაიჯანის მეღვინეობის საწარმოთა მიერ გამოშვებული 26 დასახელების ღვინოები. (საქდესი).

კომუნისტი
მე-3 გვერდი, პარასკევი,
14 სექტემბერი, 1962 წ.

მეგობრები კვლავ ხვდებიან...

ესენი წინა კონგრესზე დამეგობრდნენ, მეორეჯერ ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს სესიაზე ქ. ბუდაპეშტში შეხვდნენ ერთმანეთს. მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე მსოფლიო კონგრესზე ქ. თბილისში ძველი მეგობრები კვლავ ერთად არიან.

სურათზე: ბულგარელი ი. ტოდოროვი, ქართველი პროფესორი გ. ბერიძე, ფრანგი პროფესორი მ. ფლანზი, ბულგარელები — დ. პაულოვი, პროფ. გ. რადუჩევი და ნ. ჩინოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი ამბები

ლატარიის მოგებათა ტირაჟის წინ

უახლოეს დღეებში ქალაქ მახარაძეში გაიმართება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1962 წლის მესამე გამოშვების მოგებათა ტირაჟი.

ტირაჟის ჩასატარებლად ყველაფერი მზად არის. გამოყოფილია 25 კაცისაგან შემდგარი კომისია პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმომადგენლებისაგან.

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებმა გამოჰყვეს ლატარიისათვის განკუთვნილი საუკეთესო ხარისხის ავტომანქანები „ვოლგა“, და „მოსკვიჩი“, საწოლი გარნიტურები, პიანინოები, მაცივრები, რადიოლები, საკერავი მანქანები და სხვა ძვირფასი ნივთები.

ა. ზ ტ ე ი ნ ბ ე რ გ ი.

„ქართული ღვინო“

მევენახეობისა და მეღვინეობის I მსოფლიო კონგრესის დღეებში რუსთაველის პროსპექტს კიდევ ერთი ლამაზი სავაჭრო ორგანიზაცია შეემატა, რეკონსტრუქციის შემდეგ გახსნა „ქართული ღვინის“ სპეციალიზებული მაღაზია.

გემოვნებით გაფორმებულ დახლებზე აწყვია ყველა სახის ქართული მარკის ღვინოები — „წინანდალი“, „კარდანახი“, „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „გურჯაანი“, „თელიანი“, „მუკუზანი“ და სხვ. კონიაკებიდან აქ არის „ენისელი“, „თბილისი“, „გრემი“, „საიუბილეო“, ოთხი სახის შამპანური — მშრალი, ნახევრად მშრალი, ტკბილი, ნახევრადტკბილი, ლიქიორებიდან — „ვარდი“, „კოლხიდა“, „ნუში“ და სხვ.

სურათზე: სპეციალიზებული მაღაზია „ქართული ღვინო“.

ფოტო გ. გოგობერიასი.

ბ ა მ ბ უ კ ი ლ ი თ ო ნ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ

ს ა ო ც ა რ ა დ სწრაფად იზრდება ბამბუკი, ვერც ერთი მცენარე ვერ შეეჯიბრება მას ამაში. ეს მცენარე თვენახევარ-ორთვეში, რადაც სასწაულით ტანს იყრის ოცი მეტრის სიმაღლეზე, ოთხი წლის ბამბუკი გამოდგება სამშენებლო მიზნებისათვის, მაშინ როცა ფიჭვს ტექნიკური სიმწიფის მისაღწევად 80-100 წელი სჭირდება.

ბამბუკს ჭრიან ყოველწლიურად. ერთი ჰექტარი „მაისის“ ჯიშის ბამბუკი იძლევა ათას ღეროს, „მედაკეს“ ჯიში — სამი ათასს. ეს შეფარდება შესაბამისად 800 და 2.400 მეტრ ღეროს.

ბამბუკს აქვს გამძლე ღერო, მრავალი ნაწარმის შესაქმნელად გამოსადეგი. გამბარსა და ორთქლში გატარებულ ბამბუკს შეიძლება მისცეთ ნებისმიერი ფორმა. ბოლში გამოყვანა აძლევს მას ლამაზ მუქ ფერს და გაუტეხავ გამძლეობას. ის არ ლპება, ჭია არ ჭამს, არ იბზარება.

ქართველი ოსტატები დიდი ხანია იყენებენ ბამბუკს ავეჯის, ანძების, სათხილამურო ჯოხების, ჭოკების, ანკესის, საწოლების, კიბეების დასამზადებლად.

უკანასკნელ ხანებში ბამბუკს საქართველოში იყენებენ მარტივი სამშენებლო კონსტრუქციების შესაქმნელად. სადგურ ჩაქვთან, მაგალითად, აგებულია ოთხი მეტრის სიგრძის ლამაზი ხიდი ქვეითად მოსიარულეთათვის.

ინსტიტუტმა „საქმიპროშახტმა“ დააპროექტა დასაწლელი და ასაწყობი ხარაზობისა და ახალი სამრეწველო შენობების გადასახურავი წამწეს რამდენიმე ვარიანტი. ბამბუკისაგან. მომზადებულია ბათუმის ქარხნის „ელექტროხელსაწყოს“ და ელექტროტექნიკური ქარხნის, მახარაძეში დიდი საწყობის მთავარი კორპუსების ბამბუკის გადასახურავი წამწეს პროექტები.

მშენებრივად გრძნობს თავს წამწეს შემჭიდროებულ ელემენტებს შორის ბამბუკი, მაგრამ არ იჭიმება, წამწეს დაჭიმული ელემენტების შეუღლება დიდხანს ვერ მოხერხდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა ზურაბ ცაგარელმა დაძლია ეს წინააღმდეგობა. მან შეიმუშავა ბამბუკის ღეროების ლითონის არმატურის მეშვეობით შეერთების მეთოდი. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ დაჭიმულ ღეროთა შეერთებას დიდი სიმტკიცე ახასიათებს.

ახლახან თბილისში გაშენდა სამრეწველო-სამშენებლო მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის შენობა, რომელიც გადახურულია ოხუთმეტეტრიანი ბამბუკის წამწეებით. ეს ჩვენი ქვეყნის სამშენებლო პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა, რომ ბამბუკების წამწეთი გადახურა ამ სიდიდის შენობა. ამგვარად შექმნილია ბამბუკისაგან ბადისებური თაღები. მათი მეშვეობით შეიძლება 15-დან 40 მეტრამდე ფართის გადახურვა.

ცაგარელის ნამუშევრით დაინტერესდა ჩინეთის მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მოვიდა წერილები ინგლისიდან და ვიეტნამიდან.

ბამბუკის სწრაფი ზრდის თვისება პრაქტიკულად მის მარგს ამოუწურავს ხდის. საქართველოში კოლხეთის ამორრობილ მიწებზე ასეული და ათასობით ჰექტარზე შეიძლება ამ ძვირფასი კულტურის გაშენება.

გ. კ ლ ე ვ ა კ ი ნ ი,
სააგენტო „ახალი ამბები“.

მ ო კ ლ ე დ

□ **ზ უ გ დ ი დ ი ს** რაიონის სოფელ ოქტომბრის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია ლიტერატურული, დრამატული, აგრონომიული, მოჭადრაკეთა წრეები. საეხურადო ბრიგადა ხშირად მართავს კონცერტებს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საველე ბრიგადებსა და სკოლმეურნეო ფერმებში.

გ. ა ლ ბ ი ნ ბ ა ი ა.

□ **ჭ ი ა თ უ რ ა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ჭალაქს ესტუმრა მოძმე უკრაინის ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ნოვატორთა ბრიგადა რვა კაცის შემადგენლობით. მას ხელმძღვანელობს ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერის მოადგილე ა. ბიკოვი.

ნიკოპოლელი და ჭიათურელი ნოვატორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

□ **ს ი ღ ნ ა ღ ი.** (საკ. კორ.). რვა წლის ისტორია აქვს ბოდბისხევეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლს, რომელსაც აგრონომი ც. შეკლეფიშვილი ხელმძღვანელობს. სახლის საბჭო, რომელიც თერმეტი კაცისაგან შედგება, დიდ მუშაობას ეწევა წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და წარჩინებულთა მუშაობის გამოცდილების დასანერგავად.

კულტურის სახლის ინიციატივით მოეწყო ბოდბისხევეთა საწარმოო ექსკურსიები წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის სახელობისა და სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობებში.

ზ ე მ ო დ გ ო მ ა დადგა, მაგრამ მზის მცხუნვარება მაინც საგრძნობია. ბოდა, ამ პატარებმაც გასაგრილებლად და სათევზაოდ მტკვარს მიაშურეს.

ფოტოტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ი ს ვ ე ნ ე ბ ე ნ, მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ე ნ

ხ ი დ ი კ რ ი ს ვიწრო ხეობას რომ გასცდებით, რიონის მარცხენა ნაპირზე ტყიანი მთის ძირას ახალგაზრდა ჭადრების ჭალაკია. ჭალის ბოლოზე ასწლოვანი კოპიტებისა და ცაცხვების ხეივანში ლამაზი შენობები დგას. ეს არის ეგრეოწოდებული ქვეშვაკის გოვირდოვანი აბაანი, რომელიც ანეოოლაურის რაიონის ხიდიკრის კოლმეურნეობას ეკუთვნის.

ქვეშვაკის აბანო პატარა კურორტად გადაიქცა. ოდესმ. გრილი ჰაერია, გადმოჩქეფს ანკარა წყაროები. აიგო სასადილო, კეთილმოწყობილი სასტუმროები, აქ არა მარტო სამკურნალოდ, არამედ დასასვენებლად მოდიან მეზობელი რაიონებიდანაც.

ა ა კ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე.

ო რ ჯ ე რ უ ფ რ ო გ ა მ ა ძ ლ ე

თ ბ ი ლ ი ს ი ს კოტონის ფაბრიკამ ითვისა ქალის ახალი კოტონის წინდის გამოშვება. იგი წინთ გამოშვებულ წინდებთან შედარებით უკეთესი თვისებებით ხასიათდება.

ახალი კოტონის წინდა ლამაზი და ელასტიურია. წინდის მთავარი თვისებაა ის, რომ იგი თავის წინაპრებთან შედარებით ორჯერ უფრო გამძლეა. მას არ ჩაუვარდება თვალი, რაც დღემდე მომხმარებლების დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ვ ლ. ო დ ი ა ა ძ ე.

ტ რ ა დ ი ც ი ულ ს ა ჭ ა დ რ ა კ ო ტ ო ურ ნ ი რ ე ბ ე ბ ი

ბ ა ლ ტ ი ი ს პ ი რ ე თ ი ს ა და საქართველოს ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა მეექვსე ტური. ყველაზე ადრე დამთავრდა ოსტატობის კანდიდატების არულაიდისა და ეტრუკის პარტია (ორივე ვსტონეთი). არულაიდიმ დებიუტში დაუშვა უხეში შეცდომა წაადო ფიგურა და მერე სვლაზე დანებდა. ჩესნოუსკას-ბარმაუსკასის პარტიაში მოწინააღმდეგეებმა დასაწყისშივე გაცვალეს ლაზიერები რის შემდეგ მდგომარეობა სრულიად გათანაბრდა. მეოცდათერთმეტე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ბუსლაევმა თეორიით კლიავინის წინააღმდეგ შესწორა პაიკი ინიციატივისათვის. შავებმა პარტიის შუა ნაწილი სუსტად ითამაშეს, ბუსლაევმა რთულ ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. სიცილიურ დაცვაში ნიმ ბარსტატისთან პარტიაში შავებით კარგად გითამაშა დებიუტი, ცენტრში გარღვევით ხელთ იგდო ინიციატივა და მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი იერიშით გამარჯვებას მიაღწია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლ ი დ ე რ თ ა მ ა ტ ჩ ე ბ ი

ყ ვ ე ლ ა იმ შეხვედრებიდან, რომლებიც გუშინ გაიმართა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის „დინამოსა“ და „ტორპედოს“, აგრეთვე როსტოვის არმელთა და კიევის „დინამოს“ შეხვედრებს. ამ მატჩების შედეგები გარკვეულ სიახლეს შეიტანდა იმ გუნდების განლაგებაში, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან.

მ ო ს კ ო ვ ზ ი ადგილობრივ „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შეხვედრაში გამარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 3:2. დინამოელებს დღეისათვის 13 ოქროს ქულა აქვს. ტორპედოელებს კი 6 ქულა.

რ ო ს ტ ო ვ ი ს სკა-მ თავის მოედანზე ფრედ დაამთავრა შეხვედრა კიევის დინამოელებთან — 2:2. ახლა კიეველებს 12 ქულა აქვთ. როსტოველებს კი 10 თამაშიდან — 9 ქულა.

დღეისათვის I-XII ადგილებზე მებრძოლ გუნდებს შორის პირველ ადგილზე მოსკოვის არმიელები არიან (8 თამაშიდან 13 ქულა), მეორეზე — მოსკოვის „დინამო“ (9 თამაშიდან — 13 ქულა), მესამეზე — თბილისის „დინამო“ (9 თამაშიდან 12 ქულა).

ს ა ბ ა ჭ ო თ ა ქ ა ვ შ ი რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე ფ ე ხ ბ ურ თ ში

გ უ შ ი ნ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გაიმართა მორიგი შეხვედრები საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I და II ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ე რ ე ვ ნ ი ს „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო დონეცკის „შახტიორი“. მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ა ლ მ ა-ა ტ ი ს „კაირატისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ შეხვედრა, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქში გაიმართა, დამთავრდა ყაზახი ფეხბურთელების გამარჯვებით — 2:1.

ვ ი ლ ნ ი უ ს ი ს „ელგრინისმა“ თავის მოედანზე მიიღო ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელები. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ზ ი ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელები. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ბაქოელების სასარგებლოდ.

კ ი ე ვ ი ზ ო ნ ვ ზ ი მოსკოვის „სპარტაკმა“ ანგარიშით 1:2 დამარცხება განიცადა „კრილია სოვეტოვთან“ შეხვედრაში.

ს ა ხ ვ ა ლ რ ა კ ო ოლიმპიადას, ან როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „ერების ტურნირს“ ორ წელიწადში ერთხელ აწყობს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია. 1952 წლიდან „ერების ტურნირში“ საბჭოთა კავშირის გუნდმა ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა პირველი ადგილი.

„ერების ტურნირების“ პოპულარობა მსოფლიოში დღითიდღე იზრდება. თუ XIV ოლიმპიადაში ჭ. ლიპიცკში მონაწილეობდა 40 გუნდი, წელს ბულგარეთის ქ. ვარნაში 42 გუნდი ითამაშებს.

უკვე ცნობილია საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობა. აქ დაფების მიხედვით ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, ამ წოდების პრეტენდენტი ტ. პეტროსიანი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბ. სპასკი და პ. კერესი. გუნდის სათადარიგო წევრები არიან ე. გელერი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, განსაკუთრებით საინტერესო იქნება მ. ბოტვინიკის თამაში, მით უმეტეს, რომ მისი მეტოქეები იქნებიან ცნობილი გროსმაისტერები რ. ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), მ. ნაიდორფი (არგენტინა), ლ. სბმ (უნგრეთი), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), ფ. ოლაფსონ (ისლანდია), გ. ულმახი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ვ. უნციკერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და სხვები. „ერების ტურნირში“ მონაწილეობა მ. ბოტვინიკისათვის ჩინებული წვრთნა იქნება ტ. პეტროსიანთან მსოფლიო პირველობაზე შეხვედრის წინ.

ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო ორი მთვანი (რობერტ ფიშერი და სამუელ რეშევსკი) უმაღლესი საერთაშორისო კლასის ოსტატებს მიეკუთვნება. ყველასათვის ცნობილია გროსმაისტერ რეშევსკის პირველობა ხასიათი. მის მიერ ბრაული რელიგიის წესების პუნქტუალურ დაცვას არაერთხელ ჩაუყენებია უხერხულ მდგომარეობაში როგორც რეშევსკის თანაგუნდელები, ისე მეტოქეები. ეს იყო ადრე, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ორგანიზაციისათვის გადაუჭარელი პრობლემა გახდა რეშევსკისა და ფიშერის შეღლი. რეშევსკის არა სურს თითამაშოს ფიშერის შემდეგ მეორე დაფაზე და ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ეს კიდევ არაფერი — გაჭირვეულდა ფიშერიც. ჭაბუკმა გროსმაისტერმა გაბაცხადა, რომ კმაყოფილი არ არის ბონორარით და ბულგარეთშიც ამ მიზეზით არ ითამაშებს. ბოლოს ამერიკელებმა შეძლეს ფიშერის დამშვიდება და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს გამოუგზავნეს გუნდის ასეთი საბოლოო განაცხადი: რობერტ ფიშერი, პალ ბენკო, რობერტ ბირნი, ლარი ევანსი (ქვეყნის ახლანდელი ჩემპიონი), დონალდ ბირნი და ჯონ მედინსი. ეს მეტად ძლიერი გუნდია, მაგრამ იგი კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა, რომ თამაშობდნენ რეშევსკი და ლომბარდი. ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჭაბუკთა შორის უილიამ ლომბარდის თამაშში ხელი შეუშალა... კათოლიკურმა ეკლესიამ (?!). საქმე ის არის, რომ ქრისტიანული რელიგია არასოდეს არ წყალობდა ჭადრაკს. შუასაუკუნეებში ჭადრაკის მოთამაშე ბერებს საჯაროდ ჯოხავდნენ. მაგრამ რა შეაშინა ლომბარდი? ოროიოდე წლის წინათ მისმა მშობლებმა ჭადრაკი „ორასერიოზულ“ სპეციალობად მიიჩნიეს და თავიანთი ვაჟი კათოლიკურ სემინარიაში მიიბარეს, რათა იგი პატრი გამოვიდეს. მომავალ პატრს კი ჭადრაკის თამაში მხოლოდ ზაფხულობით შეუძლია არდადეგების დროს. ცოტა ხნის შემდეგ რომის პაპს ახალი მღვდელთმსახური ეყოლება, საჭადრაკო სამყარო კი მეტად ნიჭიერ გროსმაისტერს დაკარგავს.

იუგოსლავიელებს არაერთხელ დაუკავებიათ მეორე ადგილები „ერების ტურნირებში“. ამჯერად გუნდის შემადგენლობა ასეთია: გროსმაისტერები სვეტოზარ გლიგორიჩი, ალექსანდარ მატანოვიჩი, ბორა იკოვიკი, პეტარ ტრიფუნოვიჩი, მილან უდოვიჩი და მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ბრუნო პარმა. ასეთი შემადგენლობით იუგოსლავიელებს უდავოდ აქვთ მაღალ საპრიზო ადგილზე გამოსვლის შესაძლებლობა.

უნგრეთის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ოთხი გროსმაისტერია — ლაბლო საბო, ლიიმ პორტიჩი, იშტვან ბილეკი, გედეონ ბარეა. იგივე ითქმის არგენტინის ძლიერ გუნდზეც. აქ პირველ ადგილზე თამაშობენ 52 წლის გროსმაისტერი მიგელ ნაიდორფი და ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის 26 წლის ოსკარ პანო. მაგრამ თუ ვეტერანი ნაიდორფი მეტად ახალგაზრდულად, შემართებით თამაშობს, პანო ფრიად სოლიდური, მანევრული ბრძოლის მოყვარულია. გაზეთი „ნაროდნეს სპორტი“ იუწყება ჩეხოსლოვაკიელთა საბოლოო შემადგენლობას. როგორც ყოველთვის, პირველ დაფებზე თამაშობენ გროსმაისტერები პიროსლავ ფილიპი და ლუდეკ პახმანი, შემდეგი ადგილები კი დათმობილი აქვთ 17 წლის ჰორტს, ფიხტლს, ბლატნისა და ტრაპლს.

ოლიმპიადის მონაწილეთა შორის ეხვედრებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მაქს ეივეს (ჰოლანდია), ნიჭიერ დანიელ გროსმაისტერს ბენტ ლარსენს, შვედ გედეონ შტალბერგს, ესპანელ არტურო პომარს, ინგლისელ ჯონათან პენროუზსა და სხვა ცნობილ მოჭადრაკეებს.

ხანგრძლივად ემზადებოდნენ ბულგარელი მოჭადრაკეებიც. ბულგარელთა ლიდერი ოლიმპიადაზე იქნება ცნობილი საერთაშორისო ოსტატი ნიკოლა პადევსკი, რომელმაც ეს-ეს არის გაიმარჯვა სოფიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში.

ოლიმპიადა იწყება 15 სექტემბერს. მონაწილეები სამი თანაბარი ძალის ქვეჯგუფად იქნებიან განაწილებული, ხოლო ოთხ-ოთხი გამარჯვებული ფინალში გავა და ერთმანეთს საპრიზო ადგილებს შეეცილება. ტურნირის მთავარი მსაჯი საბჭოთა გროსმაისტერი სალო ფლორი. შეჯიბრება 10 ოქტომბრისათვის უნდა დამთავრდეს.

გ. გ ა ბ ო ე ბ ი ლ ი.

„ერების ტურნირის“ წინ

ქ უ თ ა ი ს ე ლ ე ბ ი ტ ო ვ ე ბ ე ნ ბ ო ლ ო ა დ გ ი ლ ს

გ უ შ ი ნ ქუთაისის „ტორპედომ“ თავის მოედანზე მიიღო ტაშკენტის „პახტაკორი“. ქუთაისელებმა კარგად ჩაატარეს მეხვედრა და პირველი გამარჯვება მოიპოვეს მეორე წრეში.

თამაში ქუთაისელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე ქუთაისელებს პირველი ბურთი გაეკვეთ მოწინააღმდეგის კარში. გოლის ავტორი იყო ჩხარტიშვილი — 1:0. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს, მაგრამ ანგარიში უცვლელი რჩება, პირველი ნახევარი მთავრდება ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მეორე ტაიმში ქუთაისელებმა გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოამჟღავნეს, რაც მალე მეორე გოლით აღინიშნა. 30-ე წუთზე ტაშკენტელთა კარში სირაძემ მეორე ბურთი გაიტანა. ტაშკენტელები ცდილობენ თავი დაღწიონ დამარცხებას. სახიფათოდ თამაშობენ კრასნიეკი, მალინოფსკი, ტაჯიროვი, მაგრამ უშედეგოდ. ქუთაისელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზეა. თამაშის დამთავრებას რაღაც-ნიმე წუთი აკლდა ოდესაც ტაშკენტელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა. მეკარე ურუშაძეს ხელიდან გაუვარდა აღებული ბურთი, რაც კარგად გამოიყენა ტაჯიროვმა და ბურთი გაიტანა ქუთაისელთა კარში. ეს იყო და ეს, მეტის გაკეთება სტუმრებმა ვერ შეძლეს. დრო ამოიწურა ანგარიშით 2:1 გამარჯვა ქუთაისის „ტორპედომ“.

ქუთაისელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, სარჯველაძე, ნიშნიანიძე, ხაჟალია, მირონნიკოვი, ჩხარტიშვილი, სირაძე, ზარდანია.

გ ა თ ა მ ა შ ე ბ ე ბ ი ს წ ყ ვ ი ლ ი

II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 14 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	19	10	6	3	30—16	26
„დინამო“ (მ.)	18	9	6	3	27—16	24
„ტორპედო“ (მ.)	18	9	4	5	39—21	22
„სპარტაკი“ (მ.)	18	9	3	6	36—21	21
„პახტაკი“. (ტ.)	19	7	7	5	21—21	21
„ნეფტიანი“. (ბ.)	19	6	7	6	24—24	19
„ბელარუსი“ (მნ.)	18	6	4	8	18—20	16
„ავანგარდი“ (ხ.)	19	6	3	10	15—26	15
„კრ. სოვეტ.“ (კბ.)	19	5	4	10	22—30	14
„ტორპედო“ (ქ.)	18	4	5	9	19—34	13
„დინამო“ (ლ.)	19	4	5	10	13—36	13

„ო ქ რ ო ს“ წ ი ნ დ ა

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

უ ჩ ა სტადიონიდან შინ მხიარული დაბრუნდა. დინამოელებმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშეს და გულშემატკივრები გაახარეს. კარი ცოლმა გაუღო და მაშინვე აბუზღუნდა.

— კაცი დაბერდა და ჭაუა ვერ ისწავლა. ოცდაორი კაცი ერთ ბურთს დასდევს, ორმოცდაათი ათასი კი ღრიანცელით ქალაქს იკლებს. თავისათვის მიგეგზავნა, შე ბედოვლათო, არ გერჩია? — დაგესლა გულსუნდამ თავდავიწყებული გულშემდგარი და სქელტანიან წიგნს მიუჯდა.

ტახტზე ფეხმორთხმით იჯდა. მოხუცი მინდაორა. გვერდით წინდებით სავსე კალათა მოედგა, ხელში ხის „სოკო“ ბრეზარკვებინა და გამოგლეჯილ ქულებს გულმოდგინედ კერავდა. ორი ერთმანეთზე შესუფებული სათვალის ჩვემოდან საყვედურით სავსე მზერა გაადევნა რძალს და ნემსი წინდას ნერვიულად გაუყარა.

— ეს ობრადდასარჩენი თითები მთლად დავიჩხვლიტე, ორი საფეხელიც ალარ მშველის... — ჩაიწუწუნა მოხუცმა და ნატკენ თითს დასაამებლად წუწნა დაუწყო.

— გულსუნდა, იქნებ მიეხმარო დედას, — მორიდებით მიმართა უჩამ მეუღლეს.

— შენი წინდების კერვა მეტი საქმე ალარ დამრჩენია! — ცხვირი აიბზიკა გულსუნდამ. — შენ ისეარნე, მე კი ნემსით დავიკაწრავ თითებს, ვერ ძოგარეთვეს, ვაებატონო! დედაჩემმა ისე გამაზრდა, თვალამოყვანილი წინდა არ ბეკია... წაიღე და საყოფაცხოვრებო მოსახურების კომბინატში დააკვლინე, — კაპასობდა შეურაცხყოფილი ქალი.

— ნუ ცხარობ, გენაცვალე! — ამოილუღლუღა დაბნეულმა უჩამ.

— არ დაგიკვლამაგ, წადი და ახლები იყიდე. შნო შენ არა გაქვს და გეფოვნება. ვინღა ატარებს ყელიან ბამბის წინდებს? ყველას რეზინიანი ჭრელი ნეილონისა აცვია. ნუ მარცხენ მაინც... ეს ფასამრეწველი კაპიტალ წინდაზე ეწვეა ეკონომიას, სტადიონის ბილეთში კი თუ მასაც არ დაიშურებს! — მოთქვამდა გაალმასებული გულსუნდა და გულის მოსაოხებელი სხვა რომ ვერაფერი იპოვნა, დასაკვნა. წინდები კალათიანად ეზოში გადაუძახა. — ხალხისგან სტადიონზე სიარულის მეტი ვერაფერი ისწავლე? ფეხებზე შეხედე, ყველას მოხატული უცვეთიადი წინდა ეკეთია. ეს ალაცია. საზღვარგარეთელს თუ ვერ იშოვნი, თბილისური იყიდე, ჩვენებმაც ისწავლეს ლამაზად მოჩრილი წინდების ქსოვა, — არიგებდა გულსუნდა უჩას, როდესაც საძულველი გრძელ ყელიანი წინდები გადაყარა და ქოთქოთით კელი იჯარა.

დარცხვენილი უჩა თავზეკიდრეული იჯდა და თავის გასამართლებელ სიტყვას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვნა. ან რით უნდა ემართლებინა თავი! მართალი იყო გულსუნდა. განა უჩას სხვაზე ნაკლებ დაამშვენებდა ფარშევანგის ბოლოსავით ჭრელი წინდები?

ღამე ცუდად ეძინა. სიზმარში სულ ნეილონის ჭრელი წინდები ელანდებოდა და წარამარა ეღვიძებოდა. დილაადრიან სამსახურში გაიქცა. ქუჩაში გამვლელებს დააკვირდა, თითქმის ყველას ნეილონის მოდური წინდა ეცვა. დიდხანს ალარ უფიქრია, გადაუდებელი საოჯახო საქმე მოიმიზეზა, უფროსს ორიოდე საათით დაეთხოვა და მაღლობელი მაღაზიისკენ გასწია.

— მამაკაცს ათი წყვილი ნეილონის წინდა მომეცით, გეთაყვა, სხვადასხვა ფერისა იყოს. პასპორტის ყდიდან „შავი დღისთვის“ — გადანახული ნოტი ეთმინანი ამოაძრო და ტრიკოტაჟის „ნაყარის“ გამყიდველ ახმახ მამაკაცს გაუწოდა.

— დახლიდარი გოცებული მეიჩერდა უცნაურ მომხმარებელს, ძერე იფიქრა, მელაზღანდარებაო, და უკმეხად მიუგო:

— მასხარად ასაგდები თავი ზედ გაბია!

— რაო? — გერ მიუხვდა გამყიდველს უჩა, — რა შუაშია მასხარად აგდება! ათი წყვილი ნეილონის ჭრელი წინდა გთხოვეთ, ან ისეთი, რომელიც არ ცვთება და კემსვა არ ესაჭიროება.

— ორი წელიწადია წამლად ერთი წყვილიც არსად მინახავს, შენ კი ათს ერთად ითხოვ, მასხარად აგდებაა. ამა რა არის, — თავი იმართლა დახლიდარმა, როცა მომხმარებლის სერიოზულობაში დარწმუნდა.

ნირწამხდარი უჩა პროსპექტს ჩაუყვა. ყველა მაღაზიაში შედიოდა და ნეილონის ჭრელ წინდებს კითხულობდა. ცენტრალურ უნივერმაღშიც იყო და „ორსართულიანშიც“, არ დატოვა „ბავშვთა სამყარო“ და „პიონერი“. სპორტული ინვენტარიისა და საჩუქრების მაღაზიებიც, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი და იგივე იყო:

— არა გვაქვს!

— დიდი ხანია არ მიგვეღია!

მხოლოდ ერთმა ოხუჯამ დახლიდარმა გამოიჩინა გულსხმიერება და ორაბზრიანად ჩაუქარაგდა — ვერის ბიდთან, ბაზრობაზე ჩადი იქ უთუოდ იშოვნიო.

რას დაიზარებდა, ლენინის მოედნიდან ელბაქიძის ბიდამდე ათ წუთში მიიჩქარა და კიოსკებს ჩამოუარა, მაგრამ იქაც ერთხმად ცივი უარი სტკიცეს და თავის მხრივ ხიდის ყურთან მიასწავლეს, ბოშა ქალებს მიაკითხე, მდიდარი ასორტიმენტის წინდები იქვთ, სასურველ ფერსაც აარჩევთო.

სიცხე-პაპანაქებაში სირბილისაგან აქოშინებულ ვაჟკაცს სახეზე ხეთქი გადასდიოდა და სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ ხიდის ყურთან კი არა, ნავთლუღში რომ გაეგზავნათ, იქაც ხალისით გასწევდა, ოღონდ უცვეთადი და ტკბილადი წინდები ემოვნა.

— წინდები, ნალები! — ხიდზე გასულ უჩას შემოესმა დედაკაცის ჩახლეჩილი ხმა.

ხელზე მოვაჭრე დედაკაცებს ბუზივით ეხვეოდნენ მყიდველები. იყო გაცხარებული ალებ-მიცემობა, ჩოჩქოლი, ხმაური. ეშმაკური სიტყვებისაგან გაძვალები ნოილდებოდნენ.

უჩამ ჩასუქებულ მანდილოსანს მიაშურა, რომელსაც მისთვის სასურველი ჭრელი წინდების დიდი შეკვრა ეჭირა ხელში, ტბე-ჯიბეებიც უცნაურად, არაბუნებრივად ჰქონდა გამობერილი.

— რა ღირს, ქალბატონო, წყვილი წინდა? — მოკრძალებით მიმართა უჩამ ქორვაჭარს.

— შვიდი მანეთი, წელიწადს სძლებს!

— მოკლედ მოჭრა „მანდილოსანმა“ და ლილიფერი წინდები ხელში შეაჩეჩა.

— წელიწადს?.. დაიბნა უჩა.

— ჰო, ერთ წელიწადს. საზღვარგარეთელი მაქვს, ათ წელიწადს გეყოფა, მაგრამ ფასიც თავისი აქვს — წითელი თუმნიანი უნდა, — ჩაიღიღინა და ჯიბიდან იარლიყმოგლეჯილი თბილისური თეთრ-მწვანედ შეხამებული წინდა ამოიღო.

— მაღაზიაში არსად იყიდება და ნეტავ ესენი სად შოულობენ ამდენ ნეილონის წინდას? — ჩაილაპარაკა უჩამ.

—სად კმოულობთ და... წადი, ჩემ ქმარს ჰკითხე, ის გასწავლის! — შეეღრინა ქორვაჭარმა, უჩას წითელი თუმნიანი უბეში ჩაჭმუჭნა და ხალხში შეეხია.

...მართლაც სამართლიანი კითხვაა. ნეილონის ლამაზად მოხატული წინდა ჩვენი დედაქალაქის მაღაზიებში ძნელად იშოვნება, ქორვაჭარ ქალებს კი ამ საქონლის მრავალფეროვანი ასორტიმენტი აქვთ. ელბაქიძის ბიდზე, კალინინის, ორჯონიკიძის, პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების მიჯნაზე იკრიბებიან და ოთხი „ძიძის“ ხელში დაუსკვლად ღღისით მზისით ხეთ-ეკვსმაგ ფასში ყიდიან.

საიდან მოულობენ ამდენ დეფიციტურ საქონელს ქორვაჭრები? ცხადია მაღაზიები ვერ შეიძენენ, საკუთარი წ